№ 172 | მთავრობის ორგანო | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. | სამშაბათი, აგვისტოს 3 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას 15 აგვისტოს დანიშნულია წევრთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

### განსახილველი საკითხები:

1. არსებული ბანკის აქციონერულ ბანკად გადაკეთება.
2. არჩევა ერთი გამგეობის წევრისა.

302. 1—1.

## ოფიციალური განყოფილება.

## დეკრეტი

**სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციის ძირითადი შტატის გადიდებისა, დროებითი დამატებითი შტატის შემოღებისა და მუშა-მოსამსახურეთათვის ზედმეტი გასამრჯელოს მისაცემად სათანადო თანხის გადიდებისა.**

1. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციის ძირითადი შტატი (კან. კრ. 1920 წ. № 6, კან. 28, დამატება № 14) გადიდებულ იქნეს ამა 1920 წლის მაისის 1-დან თანახმად ამ დეკრეტთან დართული დამატებითი შტატისა.

2. შემოღებულ იქნეს ამა 1920 წლის მაისის 1-დან სამი თვის ვადით ამ დეკრეტთან დართული სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციის დროებითი დამატებითი შტატი.

3. პირველი (1) მუხლში აღნიშნული სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციის ძირითადი შტატის დამატების საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის მაისის 1-დან ივნისის 1-დე ოცდა სამი ათას ორმოცი (23.040) მან., ხოლო 1920 წლის ივნისის 1-დან 1921 წლის ივნისის 1-დე ხუთას ოცდა ცხრა ათას ცხრაას ოცი (529.920) მანეთი.

4. მეორე (2) მუხლში აღნიშნული სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციის დროებითი დამატებითი შტატის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის მაისის 1-დან აგვისტოს პირველამდე სამას სამოცდა ოთხი ათას სამას ოთხმოცი (364.380) მან.

5. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვის ექსპედიციის მოსამსახურეთათვის განსაკუთრებული მუშაობის გამო გასამრჯელოს მისაცემად ამა 1920 წლის მაისის 1-დან ივნისის 1-მდე ორმოცდა თერთმეტი ათას ექვსას ოცდა ხუთი (51.625) მანეთი, ხოლო ამავე დეკრეტის მეორე მუხლში აღნიშნული ექსპედიციის დროებითი დამატებითი შტატის იმავე საჭიროებისათვის ამა 1920 წლის მაისის პირველიდან აგვისტოს პირველამდე—სამოცდა თორმეტი ათას რვაას სამოცდა თექვსმეტი (72.876) მან.

6. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვისვე ერთი მილიონი (1.000.000) მანეთი ამა 1920 წლის მაისის 1-დან ივნისის 1-მდე ექსპედიციის მუშა-მოსამსახურეთათვის ზედმეტი მუშაობისათვის გასამრჯელოს მისაცემად.

7. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დეკრეტი

**ტელეგრაფ-ტელეფონის ქსელის გასავრცელებლად 35.600.000 მან. გადადებისა და ამავე საჭიროებისათვის 44650 მანეთად ღირებული მასალის გაცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებისათვის ოცდა თხუთმეტი მილიონი ექვსასი ათასი (35.600.000) მანეთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტელეგრაფ-ტელეფონის ქსლის გასავრცელებლად და ამავე საჭიროებისათვის მიეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროსვე ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის საწყობიდან ორმოცდა ოთხი ათას ექვსას ორმოცდა ათ მანეთად ღირებული სხვა და სხვა მასალა.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 23 ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დეკრეტი

**ჯარში ან სახალხო გვარდიაში დემოკრატიული რესპუბლიკის ან მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის დასჯისა.**

1. ვინც ჯარისკაცს, ნამდვილ სამსახურში მყოფ სახალხო გვარდიელს, ოფიცერს ან სხვა სამხედრო სამსახურში მყოფ პირს, ნაწილს ან რაზმს, ან რესპუბლიკის სხვა შეიარაღებულ ძალას მოუწოდებს სიტყვით ან წერილობით, საჯაროდ ან ფარულად, თავისი ან სხვის ნაწერის, ფურცლის ან თხზულების გავრცელებით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის არსებულ წესწყობილების შესაცვლელად ან მის მთავრობის ჩამოსაგდებად, ან მხედრობაში აგიტაციას გასწევს ამ მიზნით, ან წააქეზებს, რომ კანონი ან მთავრობის კანონიერი განკარგულება არ აასრულოს, ის დაისჯება როგორც აჯანყებაში მონაწილეობისათვის, თანახმად საქართველოს პარლამენტის 1918 წლის ივლისის 5-ს კანონისა (კანონ. კრე. 1918 წლის, კანონ. მე-6).

2. წინა მუხლში აღნიშნული ბოროტ-მოქმედების განხილვა მიენდოს სამხედრო საგანგებო სასამართლოს—1919 წლის ნოემბრის 11-ის დეკრეტის თანახმად (კან. კრებ. 1919 წ. № 18, კან. მე-195).

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 22-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დროებითი დამატებითი შტატი

**სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციისა 1920 წ. მაისის 1-დან აგვისტოს 1-დე.**

| №№ რიგზე. | თანამდებობის სახელწოდება. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | თვითეულის თვიურად. | ყველას თვიურად. | ყველას 1920 წ. მაისის 1-დან აგვისტ. 1-მდე. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კონტროლიორი | 7 | 3000 | 21000 | 63000 |
| 2 | ამთვლელი | 4 | 2400 | 9600 | 28800 |
| 3 | მოლარის თანაშემწე | 1 | 3080 | 3080 | 9240 |
| 4 | აქიქი 1-ლი კატეგორ. | 1 | 5400 | 5400 | 16200 |
| 5 | მემანქანე | 2 | 5040 | 10080 | 30240 |
| 6 | დამწყობი | 4 | 4080 | 16320 | 48960 |
| 7 | დაზგაზე დამხმარე | 1 | 4080 | 4080 | 12240 |
| 8 | მიმღები | 4 | 3960 | 15840 | 47520 |
| 9 | მლესავი | 1 | 4320 | 4320 | 12960 |
| 10 | გადამრჩეველი | 1 | 5040 | 5040 | 15120 |
| 11 | ამთვლელი ფურცლებისა იგივე №№ დამსმელი | 1 | 4740 | 4740 | 14220 |
| 12 | შავი მუშა | 2 | 3960 | 7920 | 23760 |
| 13 | ლიტოგრაფიის მსახური | 1 | 3480 | 3480 | 10440 |
| 14 | ქაღალდის დამჭრელი | 1 | 4320 | 4320 | 12960 |
| 15 | დარაჯი | 3 | 2080 | 6240 | 18720 |
| | სულ | 34 | 58980 | 121460 | 364380 |

1920 წ. ივლისის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დამატებითი შტატი.

**სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციისა.**

| №№ რიგზე. | თანამდებობის სახელწოდება. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | თვითეულის თვიურად. | თვითეულის წლიურად. | ყველას წლიურად. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კონტროლიორი | 2 | 3000 | 36000 | 72000 |
| 2 | კანცელარიის მოხელე | 2 | 2400 | 28800 | 57600 |
| 3 | მხატვარი | 1 | 8000 | 96000 | 96000 |
| 4 | ლიტოგრაფიის მსახური | 2 | 3480 | 41760 | 83520 |
| 5 | დამწყობი | 4 | 4080 | 48960 | 195840 |
| 6 | დაბილი მოსამსახურე | 1 | 2080 | 2080 | 24960 |
| | სულ | 12 | 23040 | 276480 | 529920 |

1920 წ. ივლისის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ევგ. გეგეჭკორი.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## იუსტიციის სამინისტროში

**ბრძოლა ყალბი ფულების მჭრელებთან.**

იუსტიციის სამინისტრომ დამფ. კრების პრეზიდიუმს წარუდგინა კანონ-პროექტი ყალბი ფულების მჭრელების სასჯელის გადიდების შესახებ. ეს პროექტი წარდგენილი იყო მთავრობაში და მთავრობის ჩვენების თანახმად გადააკეთეს. იუსტიციის სამინისტროს პროექტით ამგვარ დამნაშავეთათვის დანიშნულ უნდა ყოფილიყო სიკვდილით დასჯა. ეს განსაკუთრებული ზომა უკუაგდეს და შესცვალეს უვადო კატორღით.

## გზათა დეპარტამენტი

**გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის ბრძანება.**

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის მიერ რკინის გზებზე შემდეგი ბრძანება გაიცა: თანახმად მომარაგების მინისტრის დადგენილებისა, მცხოვრებთ უფლება აქვთ ბორჩალოს მაზრაში პურის შესყიდვისა და მისი ტფილისში გაგზავნისა. ამიტომ გევალებათ თქვენ მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რათა ბორჩალოს მაზრაში რკინის გზის ყველა სადგურმა თავისუფლად მიიღოს სასურსათო ბარგი, მიუხედავად რაოდენობისა.

# დამფუძნებელი კრება

**28 ივლისის სხდომა**

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

**განგრძობა მსჯელობისა 1919—1920 წლის ბიუჯეტის შესახებ.**

**ბ. თევზაია.** ბიუჯეტის საერთოდ განხილვის დროს, აქ ბევრი ილაპარაკეს ოპოზიციის ორატორებმა, მაგრამ არაფერი ისეთი არ უთქვამთ, რომლის შესახებაც შეიძლებოდეს სერიოზული კამათი. ჩვენ გვეგონა დაავიწუნებდენ ბიუჯეტებს და შემდეგ თავიანთ შემუშავებულ გეგმას წარმოადგენდენ. უბადრუკია ისეთი ოპოზიცია, რომელსაც არ შეუძლიან თავისი გეგმა წარმოადგინოს და თქვენ აქ დაინახავთ, რომ ოპოზიციის ორატორებმა არავითარი გეგმა არ გადაგვიშალეს ჩვენ. ხოლო თედორე ღლონტის წყალობით აქ წამოიჭრა ისეთი კითხვები, რომელსაც ბიუჯეტთან არავითარი ახლო დამოკიდებულება არ აქვს. როგორც წინათ, როდესაც ირჩეოდა შრომის ხელშეკრულება ისე ბიუჯეტის განხილვის დროს, მან სთქვა საფრანგეთში შრომის პირობები გაცილებით კარგია ვიდრე ჩვენ ქვეყანაშიო. ჩვენ გვეგონა დაგვისახელებდა კანონებს, მან კი მოიყვანა რეზოლიუცია ამა თუ იმ მინისტრის წინაალმდეგ მიმართული. საფრანგეთის პარლამენტს ბევრი ასეთი რეზოლიუცია გამოუტანია, რომელიც თითქმის არას დროს არ ქცეულა კანონათ. თედო ღლონტს მიზნად ჰქონდა დასახული ეთქვა: ის რაც ხდება აქ უარესია სხვა ქვეყნებზედო. აი მაგალითად: საფრანგეთის მუშათა კანონმდებლობა, უკეთესია თუმცა ის ბურჟუაზიული სახელმწიფოაო. მე თქვენ მოგიყვანთ იმ დადგენილებას, რომელიც გამოიტანა საფრანგეთის რკინის გზელების კონგრესმა ამა წლის 26 აპრილს. ორატორი კითხულობს გაზეთ „უმანიტიდან“ კონგრესი ადგენს: 1) გამოცხადდეს ნაციონალიზაცია რკინის გზის, 2) მიღება დათხოვნილ მუშების, 3) ხელის აღება მუშების იურიდიულ სამართალში მიცემისა, 4) ცნობა პროფესიონალურ კავშირების. აი როგორია იქ მდგომარეობა და რის მოპოვებასაც მოითხოვენ ჯერ კიდევ მუშები. მთელი მოწინავე დემოკრატიამ იცის, რომ საფრანგეთის მუშათა კანონმდებლობა ყველა მოწინავე ქვეყნებზე ჩამორჩენილია. თედო ღლონტმა ეს არ იცის, რომელიც შეეხო აგრეთვე საბჭოთა რუსეთს. მე მოვიყვან ჩვენთვის სრულიად უცხო პირის აზრს. ის ამბობს: „საქართველოში მიუხედავათ დიდი რევოლიუციისა სწარმოებს გაცხარებული აღმშენებლობითი მუშაობა: რომ გლეხებმა მიწა მიიღეს, მუშებმა 8 საათის სამუშაო დრო მოიპოვეს; რომ საქართველოში არსებობს სრული პოლიტიკური თავისუფლება სიტყვის, წერისა, კრების, კავშირების, პეტიციისა; გამოდის ყველა მიმართულების გაზეთები, მათ შორის კომუნისტურიცა, თუმცა გასავალი არ აქვს: მთავრობის სათავეში არიან მხოლოდ სოციალისტები. (თედო ღლონტი კითხულობს ადგილიდან: ვინ ამბობს ამას?) ამას ამბობს დღევანდელ „სახალხო საქმეში“ თქვენი პარტიის წევრი ხავთასი, რომელსაც რუსეთის მრავალი კუთხე შემოუვლია და გაცნობილია მათ მდგომარეობას. როდესაც აქ თედო ღლონტი ლაპარაკობდა მე მეგონა ის პარტიის აზრის გამომხატველი იყო, მაგრამ საბედნიეროთ, როდესაც თედო აქ ლაპარაკობდა, იმავე დღეს მათ გაზეთში ერთი წერილი იბეჭდებოდა, რომელსაც ვფიქრობ მისი პარტია ოფიციალურად იზიარებს. თედო ღლონტი შეეხო რა ბიუჯეტს განაცხადა: იმ დროს, როდესაც შრომის სამინისტროზე იხარჯება მხოლოდ მილიონი მანეთი სამხედრო, რკინის გზის უწყებაზე ასობით იხარჯებაო. თედო ღლონტმა კარგად იცის, რომ მაგალითად რკინის გზის ბიუჯეტში შედის აგრეთვე მუშა მოსამსახურეების ჯამაგირებიც და მიტომაც დიდი არის გასავალი.

მას თუ უნდოდა ობიექტივობის გამოჩენა, ორივე უწყების ცენტრალური შტატები უნდა აეღო და ის შეედარებინა. თუ ეს არ იქნა, ამის მიზეზი უნდა ვიფიქროთ არის ის, რომ მათ განზრახვა ჰქონდა შეცდომაში შეეყვანა მსმენელნი. თედო ღლონტმა შეაწუხა ერთი ცნობილი ეკონომისტი ჰილფერდინგი თითქოს ის ამბობდეს, რომ მწარმოებელთა სინდიკატები აგებენ და სახელმწიფომაც ზოგიერთ შემ ხვევაში უნდა წააგოსო. ჰილფერდინგს ასე არ უთქვამს. მან სთქვა ერთ დარგში, რომ აგებენ ამით სურთ მოიგონ მეორე დარგშიო. ეს არის სპეკულიანტური მეთოდი და ბატონი ღლონტიც სიტყვით სპეკულიაციის წინაალმდეგ მებრძოლი რაინდი, საქმით ურჩევს სახელმწიფოს დაადგეს სპეკულიანტების გზას. ერთ დარგში წააგოს და ამის საშუალებით მეორეში სპეკულიანტურად მოიგოს და თუ ზარალი ექნება გადასახადი დაადვას ხალხს. ასეთი არის ბატონებო თედო ღლონტის ფინანსიური ფილოსოფია. აქვე უნდა შევნიშნოთ ლეო შენგელაიას, რომელმაც მოიყვანა ადამ სმიტის დებულება, რომ სახელმწიფო ცუდი მეურნეა და ეს აზრი მან მოძველებულად გამოაცხადა. ეს მოძველებული აზრი ნაწილობრივად დღესაც მართალი არის. სახელმწიფო, რომელიც პოლიტიკური ორგანიზაცია არის და მისი ორგანოებიც ამ უმთავრეს საქმეს ემსახურებიან ცუდი მეურნეც არის, ვიდრე იგი არ მოაწყობს სპეციალურ ეკონომიურ ორგანიზაციებს, რომლებიც გაუძღვებიან მეურნეობის საქმეს. ჩვენი ფრაქცია გამოსთქვამს სურვილს, რომ ასეთი ორგანოები ამ მოკლე ხანში შექმნილ იქნას.

აქ შეეხენ არა პირდაპირ გადასახადების საკითხს. არა პირდაპირ გადასახადს შეებრძოლა, როგორც შენგელაია, ისე თ. ღლონტი, მაგრამ ისინი სრულიად ვერ ამჩნევდენ, რომ მათი დებულებებიდან გამომდინარეობდა მისი დაცვა ვინც გვირჩევს აიღეთ ამ გარდამავალ ხანაში წარმოება ხელში და მისი მოგებით იცხოვრეთო. უნდა იცოდეთ, რომ მოგება იქნება საქონელზე დაწესებული ის ზედმეტი ფასი, რომელიც ეკონომიური და ფინანსიური საფუძველია არა პირდაპირ გადასახადის. ამნაირად თეორიულად ოპოზიცია ყალბ ნიადაგზე დგას. ეხლა ვიკითხოდ რეალურად, თუ რაზედ არის დაწესებული არა პირდაპირი გადასახადი. იგი არ არის პურზე, ყველზე და სხვა სანოვაგეზე. უმთავრესად ის შეეხება არა პირველ საჭიროების საგნებს, რასაც მხარს უჭერდენ ყველა ფრაქციები დამფუძნებელ კრებაში და განსაკუთრებით თავიანთ გაზეთებში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ სხვა და სხვა საზოგადოებრივ წყობილების დროს, გადასახადებიც, რომლითაც ინახება სახელმწიფოს ორგანოები სხვა და სხვა პრინციპებზე არის აგებული. ფეოდალური სახელმწიფო თავის მოხელეებს უმთავრესად აჯილდოვებდენ მიწებით და ეს იყო გასამრჯელო მათი შრომის. ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ შეიმუშავა გადასახადების სისტემა. ხალხიდან აკრეფილ ფულით ის ინახავს თავის დაწესებულებებს. სოციალისტური სახელმწიფო თავს შეინახავს წარმოებიდან შემოსულ თანხით, რომელიც მშრომელთა განკარგულებაში იქნება. ამ გარდამავალ ხანაში ისახება ეს ფორმა სახელმწიფოს შემოსავლისა. საზოგადოებრივ მეურნეობიდან შემოსულ თანხებს შესაფერი ადგილი უნდა მიეცეს ჩვენს ბიუჯეტში. აქეთ უნდა იყოს მიქცეული ჩვენი რესპუბლიკის ყურადღება. თუ ეს ასეა, ჩვენ მიუთითებთ ერთ შემოსავლის წყაროზე. ეს არის დაზღვევის პირობების და საქონლის სახელმწიფოს მიერ მოწყობა. ასეთი სურვილი გამოსთქვა ფინანსიურმა კომისიამ და სახელმწიფომ ეს შეძლებისამებრ უნდა განახორციელოს, რაც დიდ შემოსავალს მისცემს ჩვენს ქვეყანას. თუ ჩვენ ვადგივართ საზოგადოებრივ წარმოების განვითარების გზას, მაშინ ბ. შენგელაიას მიერ წამოყენებული დებულება კრედიტის სპეციალიზაციის შესახებ მიუღებელი არის, რადგანაც მოთხოვნა კრედიტის სპეციალიზაციის მისი სერიოზულ მნიშვნელობით და ამავე დროს მოთხოვნა წარმოების განსაზოგადოებრიობის შეუძლებელია: სპეციფიკაცია კრედიტის გამოიწვევს ყოველ წუთს ამა თუ იმ თანხის კანონმდებლობითი რბენას და ეს კი საქმეს შეაფერხებს. მთავრობას უფლება უნდა ჰქონდეს ერთ § ში აღნიშნული ფული მეორეს მოახმაროს. ჩვენს ბიუჯეტს აქვს ნაკლი, ეს არის ის, რომ არ გვაქვს შემოღებული გადასახადი შემოსავლის კვალობაზე ისე, როგორც ეს ესმის მოწინავე დემოკრატიას. ჩვენი ფრაქციის აზრით ეს უნდა შემოღებულ იქნას ახლო მომავალში. ეს გადასახადი არის იარაღი სოციალურ გარდაქმნის, რომელიც გაადვილებს მას. ასეთი გადასახადი შეძლებას აძლევდა ევროპის სახელმწიფოებს თავი დაეღწია გაჭირვებულ მდგომარეობისათვის. მეორე მხრივ სახელმწიფომ უნდა იცოდეს თავის ქვეყნის სიმდიდრე და ასეთი სისტემა ერთად-ერთი საშუალებაა ამისი. ამავე დროს ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ არსებული მემკვიდრეობითი კანონი მოძველებულია. საჭიროა მისი ისე გარდაქმნა, რომ მემკვიდრეობა ახლო ნათესავებს რჩებოდეთ მხოლოდ, შორეულ ნათესავებს უნდა ჩამოერთვათ უფლება მიიღონ მემკვიდრეობა და ეს უფლება სახელმწიფოს უნდა გადაეცეს. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ფინანსიურ მდგომარეობის გამაგრებას. დასასრულ ორიოდე სიტყვა ოპოზიციას. გვისაყვედურებენ კონტროლი არა ჰყავს რესპუბლიკასო. სახელმწიფო კონტროლი უმოქმედობას იჩენსო. ამის შემდეგ კი მოჰყავთ კონტროლის მოხსენება და იძახიან მან არაფერი დამალა და აი ნახეთ რას ამბობს უწყების შესახებო? ეს არის სერიოზული კრიტიკა? არა ბატონებო. აქ ბევრჯელ გაუმეორებიათ, რომ ვერ მოახერხა მართველმა პარტიამ ბიუჯეტის შედგენა. დიდი რევოლიუციის დროს იქნა მიღებული ბიუჯეტი, რომელიც შეიცავდა სამ წინადადებას. ამდენი და ამდენი ფული გადაიდო ომისთვისო. მდგომარეობა იყო ისეთი, რომ საფრანგეთის ხალხის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ ბიუჯეტის შედგენა მიუხედავად იმისა, რომ მათ ცოდნაც ჰქონდათ და უნარიც, რასაკვირველია, მეტი ვიდრე ჩვენ ოპოზიციას. აქ ისიც სთქვეს, ეს რა ბიუჯეტი არისო? ეს ციფრების გროვა არისო. დიახ, ბიუჯეტი არის კანონად ჩამოყალიბებული სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი. ბატონებო, ნუ თუ არ იცით, რომ აქ ციფრებშია სიტყვის მაგიერ საქმე. ციფრები ლაპარაკობს, მას წაკითხვა უნდა და ვისაც ეს არ შეუძლიან, მისი კრიტიკა, რასაკვირველია, უსაფუძვლო და ნიადაგ მოკლებული იქნება. (ტაში)

**ი. ხაჟაია.** როდესაც ოპოზიცია გამოვიდა ბიუჯეტის კრიტიკით, მას უნდა მიეთითებია ის ახალი გზები, რომლითაც სურთ იარონ მათ. აქ ილაპარაკეს ჩვენი ბიუჯეტის უვარგისობაზე, მაშინ უნდა ეჩვენებიათ თუ რა უნდა იქნას წარმოდგენილ მომავალ წლისათვის. ლეო შენგელაიამ სთქვა ეს ბიუჯეტი ძლიერ დაგვიანებულია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ობიექტიურ პირობებს და მხედველობაში მივიღებთ სხვა სახელმწიფოთა მაგალითებს, რომელთაც მრავალი წლის ისტორია აქვთ, მაგრამ მაინც აგვიანდებათ ბიუჯეტი, მაშინ ადვილათ ახსნით ჩვენი ბიუჯეტის დაგვიანებას. ლეო შენგელაიამ განაცხადა, ხალხი არ ენდობა მთავრობას, გადასახადებს არ გადაიხდისო. ამის გასამართლებლათ მოვიყვან ციფრებს იმ შემოსავლისას, რომელიც შემოდის გადასახადებისაგან. გასულ წელს ივნისში შემოვიდა 12 მილიონი, ივლისში 18 მილიონი, აგვისტოში 16 მილიონი, სექტემბერში 23 მილიონი, ნოემბერში 36 მილიონი, დეკემბერში 45 მილიონი და შემდეგ უფრო იმატა შემოსავალმა. შემდეგ ამისა ორატორი ეხება რა ეკონომიურ ბალანს, აღნიშნავს, შემოტანილი საქონელი მეტი ყოფილა ვიდრე გატანილი. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს მთავრობამ. პირველ ყოვლისა საჭიროა გამოსწორდეს ტრანსპორტის საქმე. იმ ქვეყნებს, სადაც ტრანსპორტი ჰქონდათ კარგათ დაყენებული, მაგალითად ინგლისი, გერმანია, უფრო ადვილათ უძლებდენ ეკონომიურ კრიზისებს. მაშასადამე უნდა შექმნილ იქნას გზები, რაც ჩვენს ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობას მტკიცე ნიადაგზე დააყენებს. ჩვენი ბალანსი არის დეფიციტიანი, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ შემოგვაქვს აქ ის საქონელი, რაც ესაჭიროება ჩვენ სახელმწიფოს. აღსანიშნავია ისიც რომ საქონელი ჩვენში უცხოელებს შემოქონდათ. ჩვენ რომ თვით შემოგვეტანა და საზღვარ გარედ ჩვენი საქონელი ჩვენვე გაგვეტანა, ეს უფრო სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვის. შემდეგ ამისა ორატორი ჩამოსთვლის იმ საშუალებებს, რომლითაც შესაძლებელი იქნება ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესება, ტონაჟის გაუმჯობესობა, უშუამავლოდ საქონლის გაზიდვა საზღვარ გარეთ და სამაგიერო საქონლის შეძენა. გაუმჯობესებულ უნდა იქნას თამბაქოს მონოპოლიის საქმე, უნდა ვიცოდეთ სად რომელ ბაზარზე რა ღირსების საქონელი არის საჭირო რაც შეეხება შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დაწესებას, ეს მეტად ძნელი საქმე არის ამას დიდი მუშაობა ესაჭიროება. ორატორი ეკამათება რა თედო ღლონტს, რომელიც საბჭოთა რუსეთის მაგალითებზე მიუთითებდა, ამბობს რომ ინგლისის და გერმანიის უკიდურესი სოციალისტებიც კი იმ აზრს ადგანან, რომ სოციალიზაციის გატარებას ერთ რომელიმე დარგშიაც კი წლეები სჭირდება. დღესვე შეიძლება გამოიკეს დეკრეტი, რის განხორციელებაც შეუძლებელ იქნება და ქაღალდზე დარჩება. ჩვენ თანდათანობით ვანხორციელებთ წარმოების განსაზოგადოებრივებას, უნდა იცოდეთ რა ძნელი არის, თუ გინდ თამბაქოს მონოპოლიის განხორციელება. საბჭოთა რუსეთი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს ამ მხრივ. თუ ჩვენ მივმართავთ ბოლშევიკების ბელადებს, ეს ისეთ მდგომარეობაში ჩაგვაყენებს, ისე გაანადგურებს ჩვენს ქვეყანას რომ შეიძლება ფეხზე არასოდეს ვერ წამოვდგეთ. სიტყვის დასასრულს ორატორი აღნიშნავს რომ ზოგიერთ უწყებებში შტატები იქნება შემკირებული რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ბიუჯეტის გაუმჯობესობას. არის მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმული, რაც იმედს გვაძლევს, რომ მომავალ წელში ჩვენ გაცილებით უკეთეს პირობებში ვიქნებით.

**ხპ. კედია.** აღნიშნავს, რომ დიდი ნაკლია ბიუჯეტის, როდესაც შიგ არ შედის ერთი მთავარი უწყება. სახელდობრ მომარაგების სამინისტრო. ეს სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს სახელმწიფოში, იქ ჯამაგირები მოხელეებს მეტი აქვთ ვიდრე სხვა და სხვა უწყებებში. მომარაგების სამინისტროს ოპერაციებიდან შემოსული ფული არ შეაქვს ხაზინაში, არამედ თვით ატრიალებს, რაც არ არის სწორი. სამონოპოლიო საქონლის წარმოება მთავრობამ ვერ დააყენა სათანადო ნიადაგზე, რაც აგვაცდენდა სავაჭრო ბალანსის დეფიციტს. ორატორი ეხება მუშათა დათხოვნის საქმეს წარმოების ლიკვიდაციის დროს და აღნიშნავს, რომ ეს მეტად მძიმე პირობებში აყენებდა წარმოების პატრონთ. მუშის ინტენსივობამ იკლო, რაც დიდად აზარალებს წარმოებასო. შემდეგ ეხება დაწვრილებით თამბაქოს საქმეს და აღნიშნავს, რომ იგი ვერ აყო სათანადო ნიადაგზე დაყენებულიო.

**ხ. ავალიანი** (ფინ. მინ. ამხ.). აღნიშნავს, რომ ფინანსთა უწყებამ ერთი წლის წინად წარმოადგინა პროექტი, სადაც მომავლის პერსპექტივები ნაჩვენები იყო. აქ არ აღნიშნა არც ერთმა, რუ რამდენად გაამართლა ცხოვრებამ ის გეგმა, რომელიც ჩვენ წარმოგიდგინეთ. თუ ასე მიუდგებოდენ საკითხს დაინახავდენ, რომ ჩვენი იმედები სავსებით გამართლდა და იმას, რასაც ვამბობდით პროექტში განხორციელდა ბიუჯეტში. აქ აღნიშნეს, რომ ჩვენი ბიუჯეტის უმთავრესი წყარო არის პრიმიტიული შემოსავალი. ეს გამოწვეული არის ობიექტიური პირობების ზეგავლენით. იმ ხანაში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით და ვაწარმოებთ აღმშენებლობითი მუშაობას, შეუძლებელია გადასახადებს არ მივმართოთ. ბიუჯეტის დეფიციტი აიხსნება არა იმით, რომ მთავრობის პოლიტიკა არ ვარგოდეს, არამედ იმ საერთო ობიექტიურ პირობებით, რომელიც შექმნილია დღეს.

ავალიანის სიტყვის შემდეგ სივვიანის გამო კრება დაიხურა.

# სატარიფო პალატაში

**მელითონეთა კავშირის მიმართვა.**

მელითონეთა გაერთიანებულმა კავშირმა მიმართა სატარიფო პალატას განცხადებით, რომელშიც მიუთითებს, რომ მე-4-ე მუხ. ინსტრუქციისა ერთდროული დახმარების შესახებ ეხება მხოლოდ იმ მუშებს, რომელნიც მუშაობდენ ივლ. 23-დეო. ამ განმარტების მიხედვით კი ერთდროული დახმარება არ მიეცემათ იმ მუშებს, რომელთაც სამსახურს თავი დაანებეს ივლისის 23-მდე მიუხედავათ იმისა თუ ეს პირები ამა თუ იმ წარმოებაში რამდენხანს მსახურობდენ. ამასთანავე ეგევე ინტრუქცია უფლებას აძლევს მიიღოს ერთდროული დახმარება იმ მუშებს, რომელნიც მიღებულ იქნენ სამსახურში ივლისის 1 შემდეგ. ვღებთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ერთდროული დახმარების მიცემა ეხება არა მარტო ივლისის თვეს, არამედ უკანასკნელ თვეებს, და გამოწვეულია საერთო სიძვირით და რომ მუშებს, რომელნიც დაითხოვეს ივლისის 13-დე ისეთივე უფლება აქვთ მიიღონ ერთდროული დახმარება, როგორც იმ მუშებს, რომელნიც მიღებულ იქნენ სამსახურში 1 ივლისის შემდეგ, კავშირის გამგეობამ დაადგინა: სთხოვოს სატარიფო პალატას შესცვალოს მე-4-ე მუხლი ინსტრუქციისა იმ გვარათ, რომ შესაძლებელი ერთდროული დახმარება მიიღონ იმ მუშებმაც, რომელნიც ივლისის 23 მდე იყვნენ დათხოვნილი.

# ოსეთის მდგომარეობა

წარსულ კვირაში შინაგან საქმეთა მინისტრი ეწვია გორსა და ცხინვალს, მას სურდა ადგილობრივ გაცნობოდა ოსეთის მცხოვრებთა მდგომარეობას და საქმის საერთო ვითარებას ჯავის ხეობაში.

დაბრუნების შემდეგ ნ. რამიშვილმა განაცხადა, რომ იგი ადგილობრივ დარწმუნდა იმაში, რომ ექსპედიციის დროს ოსების მიმართ მართლა ჰქონებიათ ადგილი ზოგიერთ ექსცესებსო. ეხლა ეს ექსცესები აღარ არსებობს და ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა შინ. საქმეთა მინისტრმა მილიციასა და გვარდიას მისცა ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა ეჭიროთ მათ თავი მომავალში ოსების მიმართ. თუ ისინი არა სათანადოდ მოიქცნენ, იმ შემთხვევაში

მათ კანონიერ პასუხისგებაში მისცემენ. შინ. საქმეთა მინისტრმა ამასთანავე განაცხადა, რომ ჯავის ხეობის აჯანყებულებმა დასტოვეს საქართველო და ჩრდილო ოსეთში გადავიდენო. მათი დანარჩენი ნაწილი იქვე საჩქაროდ ახდენს ევაკუაციასო. განთავისუფლებულ მიწებს იჭერენ რაჭის, დუშეთის და ოზურგეთის მაზრიდან გადმოსახლებულნიო. შინაგან საქმეთა მინისტრი ამბობს, რომ საერთოდ მდგომარეობა დაკმაყოფილებელი არისო.

# უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

### გერმანია და უნგრეთი.

„იზვესტია“ გადმოგვცემს „დეიტშე ტეგესცეიტუნგის“ ცნობას იმის შესახებ, რომ ამ უახლოეს დღეებში ბუდაპეშტში მიემგზავრება გერმანიის სამხედრო პარტიის წარმომადგენელი გენ. გოფმანი, რომელსაც განზრახვა აქვს უნგრეთის დიქტატორ ხორტისთან ერთად შეიმუშაოს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედების გეგმაო. ბუდაპეშტში უნდა მივიდნენ აგრეთვე გენ. ფონ-დერ-პოდიელი, ლიუდენდორფი, ბერმონ-ავალოვი და ბრიტანეთის ზოგიერთი ოფიცერიო.

### გენ. ალენბი.

თანახმად მიღებულ ცნობებისა ქემალისტებთან მებრძოლ მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლათ, ამ ჟამად ეგვიპტეში მყოფი, გენ. ალენბი დაინიშნა.

### რუსეთი და ბოლშევიკებში.

„ბოსფორი“ თავის წერილში, რომლის სათაურიც არის „მდგომარეობა მოსკოვში“ იძლევა კითხვას: რით დაასრულებენ ბოლშევიკები (?) დაიწყეს, სწერს ავტორი, იმით, რომ სთქვეს მსოფლიო უნდა განიარაღდესო, დაასრულეს კი მით, რომ თვით დაარსეს საშინელი მილიტარიზმი. დაიწყეს საშინელი აგიტაცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თითონ ჯერ არ ყოფილი იმპერიალიზმი გაამეფეს. ისინი პირდებოდენ ხალხს ზავს და თავდაუჭერელ სამოქალაქო ომს კი აწარმოებენ. უარყვეს საიდუმლო ხელშეკრულებანი და თვითონ კი არა თუ ხალხს უმალავენ ყველაფერს, არამედ დებენ საიდუმლო ხელშეკრულებებს ისე, რომ ერთმანეთსაც არაფერს აგებინებენ. ევროპის მშვიდობიანობა იმ დროს, როდესაც რუსეთში შეუჩერებელი სამოქალაქო ომი სწარმოებს, ბეწვზე დაკიდებულია. რა შედეგი უნდა მოგვცეს რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენამ, მაშინ, როდესაც რუსეთი, როგორც სამოქალაქო და ეკონომიური აპარატი, აღარ არსებობს. ეს უნდა გაითვალისწინონ მოკავშირეებმა და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადასწყვიტონ რუსეთის საკითხი: ან დიპლომატიურ მოლაპარაკების საშუალებით და სამხედრო ჩარევით, ან უნდა წავიდენ დათმობაზე და განსაზღვრულ პირობებში საბჭოთა მთავრობას ზავით უნდა შეეკრან.

### გუჩკოვი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

შვეციის პრესა ადასტურებს ცნობას იმის შესახებ, რომ გუჩკოვს შეუკრებია 60000 კაცი ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ზომებს ღებულობენ, რომ ეს ჯარი ორჯერ გაადიდონ ლიტვისა და ლატვიის მოხალისეებით. ჯარის წარმომადგენლად ბერლინში დანიშნულია პოლკ. ველტი. გუჩკოვი ადგენს ამ ჯარის უახლოესს მიზნების შესახებ დაწვრილებით მემორანდუმს, რომელსაც ელჩთა საბჭოს წარუდგენს.

### სიძვირე გერმანიაში.

„ტანი“ გადმოგვცემს: ცხოვრების გაძვირების გამო ბერლინის ქუჩებში მღელვარება დაიწყო. სპეკულიატიურ ფასებით გაბრაზებულმა ხალხმა გალახა ვაჭრები. ამაში უნდა ჩარეულიყო პოლიცია, იმავე დღეს დემონსტრაცია მოხდა. დემონსტრანტებს დაჰქონდათ შემდეგი პლაკატები. „ძირს სურსათ სანოვაგის სპეკულიანტები“ „ძირს სურსათით ჩუმათ მოვაჭრენიო“.

### ქაღალდის შიმშილობა.

ბრანტინგმა განაცხადა: მთავრობა ყოველგვარ ღონეს ხმარობს ქაღალდის სიმშილობის თავიდან ასაცილებლადო. განზრახულია ქაღალდის მკეთებელ ქარხნების მოქმედების შესაძლებელ მაქსიმუმამდე აყვანა, რათა ამგვარათ არა მარტო შვეციის საჭიროება დავაკმაყოფილოთ არამედ საზღვარ გარეთაც გავიტანოთო.

### რუსეთი და ნორვეგია.

საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ მიშელს ივლ. 28. ჩვენმა წარმომადგენელმა ლიტვინოვმა მიიღო ინსტრუქცია, რომ არ აწარმოოს მოლაპარაკება კოპენჰაგენის ცალკცალკე კომერსანტებთან, არამედ მოლაპარაკება გამართოს მხოლოდ ქრისტიანიაში მყოფ ნორვეგიის მთავრობასთან. ქრისტიანიაში ნორვეგიის მთავრობის მიერ ლიტვინოვის მოწვევის დაგვიანებას ზარალი მოაქვს და ხელს უშლის რუსეთსა და ნორვეგიის შორის კეთილ განწყობილებისა და კომერციული დამოკიდებულების დამყარებას და იმ სასარგებლო შედეგებს, რომელიც ამ დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი.

### რუსეთი და პოლონეთი.

„ტაგებ.“ ვენის კორესპონდენტი იუწყება, რომ საბჭოთა მთავრობის ყოფილმა ვაჭრობა მრეწველობის კომისარმა ბრონსკიმ გადასცა თავის რწმუნების ბარათი პრეზინდენტ ზეიტცსო. ბრონსკიმ, შეეხო რა მომავალ მოლაპარაკებას ზავის შესახებ, იმედი გამოსთქვა უკეთესი მომავლისა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პოლონეთა არ უნდა მოელოდეს საბჭოთა მთავრობისაგან იმაზე მეტს, რასაც იგი მიიღებდა რუსეთის სხვა რომელიმე მთავრობისაგან. რასაკვირველია, მოლაპარაკებას საფუძვლათ დაედება რუსი და პოლონელი ხალხის ინტერესები.

# ახალი ამბები

**ხაბჭოთა ჯარები აქსტაფაში.** მიღებულ ცნობებით ამ უკანასკნელ დღეებში, აქსტაფის რაიონში საბჭოთა ჯარების შეჯგუფება დაიწყო. ამ ჯარებიდან ნაწილი შემოიყვანეს ნეიტრალურ ზონაში, რის გამოც გაიზარდა საბჭოთა ჯარების შემადგენლობა აღნიშნულ ზონაში. ამის გამო საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ბაქოში მყოფმა ჩვენმა წარმომადგენელმა ალშიბაიამ პროტესტი განაცხადეს.

**შინაგან საქმეთა მინისტრის გამგზავრება.** ერთი თვით დასასვენებლად წავიდა შინ. საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი. მინისტრის მოვალეობის ასრულება დაეკისრება შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ბ. ჭიჭინაძეს.

**გორის აღდგენა.** განსაკუთრებულმა გეოლოგიურმა კომისიამ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის განსაკუთრებულ კომიტეტს წარუდგინა მოხსენება გორის აღდგენის საკითხზე თავისი მუშაობის შედეგების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქალაქს ახალი ნაწილი უნდა გაშენდეს უფლის-ციხის გზისაკენ მდებარე გორებზე და არტილერიის ყაზარმებს იქითო. მაგრამ, რადგანაც ეს მიწები კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნით, კომისია ფიქრობს გამოიმუშაოს წესები ამ მიწების ჩამორთმევისა; ამ ადგილების სივრცე უდრის სულ 35 დესიტინას. ამ მიწების მეპატრონეებს მისცემენ ლიახვის ნაპირზე მდებარე ადგილებს. კომისია თავის მოხსენებაში აღნიშნავს. საჭიროა საჩქაროდ განხორციელდეს დასახული გეგმა და აიგოს სახლები, რათა ამგვარად მცხოვრებლებს საშუალება ექნეთ ზამთარში თავის შეფარებისაო. მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტმა განიხილა ეს მოხსენება და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა სათანადო პროექტი გორის აღდგენისა. ამ პროექტს ამ დღეებში მთავრობას წარუდგენენ განსახილველად.

**საქართველოს ქვეშევრდომობის მიღება.** ქალაქის თვითმართველობა იხილავს საკითხს, თუ რომელ განყოფილებას უნდა გადაეცეს ქვეშევრდომობის შესახებ თხოვნების განხილვა და სათანადო მოწმობათა მიცემა. ქალაქის თვითმართველობაში ქვეშევრდომობის შესახებ თხოვნების შემოტანა გრძელდება.

**დუხობორების შეამდგომლობა.** ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებმა დუხობორებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიტანეს განცხადება, სადაც ნათქვამია: ამ უკანასკნელ ხანებში ახალქალაქის მაზრაში ეწევიან აგიტაციას და ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ; თითქოს მოხდა შეთანხმება ახალქალაქის მაზრის სომხეთისადმი გადაცემის შესახებო. დუხობორების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამგვარი ხმები მცხოვრებთ ნერვებს უშლის და საჭიროა ზომების მიღება მომავალში ამგვარი ხმების გავრცელების მოსასპობადო.

**ახალი რადიო-სადგური.** საინჟინეროსატეხნიკო სამმართველოდან იუწყებიან: დასრულებულია წინასწარი მოლაპარაკება ტფილისში ახალ ძლიერ რადიო-სადგურის მოწყობის შესახებ. ეს რაოდენ სადგური მოეწყობა ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის თანახმად. ამ სადგურს კავშირი ექნება საქართველოსა და ევროპის უდიდეს რადიო-სადგურებთან.

**ბათომის რადიო-სადგური.** რადიო-ტელეგრაფის ინსპექტორის მოხსენების თანახმად რადიოთი მტკიცე კავშირი დამყარებულა ბათომსა და ტფილისს შორის. ამ დღეებში კავშირი დამყარდება შავი ზღვის ყველა ნავთსადგურთან და იმ გემებთან რომლებზედაც რადიო-სადგურები იმყოფება.

**ხალიაცია დღესასწაული.** რომელიც აგვისტოს 2-ისათვის იყო დანიშნული შემდეგი დროისათვის გადასდეს.

**სახელმწიფო ბანკში.** მიმდინარე ანგარიშები. სახელმწიფო ბანკის მოქმედების პირველ კვირაში მიმდინარე ანგარიშზე შემოვიდა 177 მილ. მანეთი.

**ტყეების გამოკვლევა.** ტყეების ინსპექტორი ქურდიანი დასავლეთ საქართველოს ტყეების გამოკვლევას შემდეგი წესით მოახდენს: ჯერ გამოიკვლევს ქუთაისის ახლო მდებარე ტყეებს, შემდეგ ტყიბულისას, რაჭისას და ბოლოს ბათომის ოლქისას. პროფესორ ქურდიანს განზრახული აქვს სატყეო მეურნეობის საერთო გეგმის შესადგენად შეჰკრიბოს საჭირო მასალა.

**ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში.** თანახმად ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში მიღებულ ცნობებისა, სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციაში, დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, დაუმზადებიათ შემდეგი მარკები: 10 კაპეიკიანი 1.712.865 ცალი, 40 კაპ. 1717.642 ცალი, 50 კაპ. 1377.000 ცალი, 60 კაპ., 5.005.560 ცალი, 70 კაპ., 1.133.576 ცალი, მანეთიანი, 1.550.144 ცალი, 2 მან., 505.500 ცალი, 3 მან., 304.000 ცალი, და 5 მან. 552.400 ცალი, სულ დამზადებულია 14.148.699 ცალი მარკა.

# სასურსათო ცხოვრება

### ბაზარზე ვაჭრობის აკრძალვა.

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება გვთხოვს გაუწყოთ, რომ დროებით შეჩერებულია ივლ. 23 ქალ. თვითმართველობის დადგენილება, რომლის ძალითაც იმ ვაჭრებს, რომელთაც საკუთარი დუქანი არ ჰქონდათ ვაჭრობა ეკრძალებოდათ.

### ნიხრი პამიდორსა და კვერცხებზე.

სასურსათო განყოფილებამ დააწესა ნიხრი გირვანქა პამიდორზე 8 მან. და თითო კვერცხზე 6 მან. და 50 კაპ.

### სურსათი მცხოვრებთათვის.

სასურსათო განყოფილებამ გასაყიდათ გამოუშვა: კაკაო—ლიბრი—400 მან., ინგლისური საპონი—ნაჭერი—50—70 მან., ბულიონი კუბიკებში თითო მანეთი. ამ დღეებში გასაყიდათ გამოუშვებენ შაქარს.

### საქონლის ფასები.

სავაჭრ-სამრეწველო პალატის ცნობით სასურსათო საქონელზე შემდეგი ფასებია: ხორბალი ადგილობრივი ღირს 1850—1900 მ. ფ.; სიმინდი—1200 მან. ფ.; ლობიო—800 მ. ფ.; შაქარი რაფინადი—5.500 მან. ფ.; ფხვნილი შაქარი—4.600 მან. ფ.; ფქვილი რუსული 3.300 მ. ფ.; ადგილობრივი 1900—2.100 მ.: სიმინდის ფქვილი 1.500 მან. ფ.; ერბო—9.600 მან. ფ.; კარაქი—800 მ. ფ.; ყველი გირ. 90 მან. ერთი კვერცხი 10 მან.

### მუშათა მაგიდის მიერ პურის ოპერაციის მოწესრიგება.

ა. რუხაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი მუშათა მაგიდის პურის მიერ ოპერაციის მოწესრიგების საკითხის შესახებ. თათბირში მიიღეს მონაწილეობა: შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდის გამგემ, შრომის სამინისტროს მთავარმა კონტროლიორმა და ტეხნიკურ ზედამხედველობის და წისქვილების გამგემ. თათბირმა შემდეგი დადგენილებანი მიიღო: 1) მოწესრიგდეს ხორბლისა და ფქვილის წისქვილებში და ფურნეებში თავის დროზე მიტანა: ამისათვის ქალაქის ობოზიდან უნდა გამოიყოს ერთი ნაწილი, რომელიც ხორბალსა და ფქვილს გადაიტანს; 2) მდინარეებზე მყოფი კერძო წისქვილები დაიყოს ჯგუფებად. ჯგუფში შევა ხუთი წისქვილი. ყოველ ჯგუფს უნდა დაევალოს დაფქვას მხოლოდ ქალაქს ხორბალი; 3) ვინაიდან მდინარეზე მყოფ წისქვილების ნაყოფიერება ძლიერ მცირეა, ამიტომ მათ პატრონებს უნდა მიეცეს დახმარება წისქვილების შესაკეთებლად. ამ მიზნისათვის მათ მიეცემა საჭირო მასალა; 4) დროებით უნდა დაწესდეს ყოველკვირეული ხორბლის გასავალი, რომელიც 7.270 ფუთს არ უნდა აღემატოს; 5) პურის გამოცხობის შეჩერების თავიდან ასაშორებლად ყოველ ფურნეში უნდა იყოს არა ნაკლებ 3.000 ფუთი ფქვილის ზედმეტი მომარაგება. ფურნეებში უნდა გააცივონ ცხელი პური; 6) რომ წისქვილებს დასაფქველად უვარგისი ფქვილი არ მიაწოდონ, ამიტომ მომარაგების სამინისტროს საწყობების გამგებს უნდა აეკრძალოთ უვარგისი ხორბლის მიღება და გაცემა. უნდა გაძლიერდეს ტეხნიკური ზედამხედველობა იმ მიზნით, რომ წისქვილებში ხორბალი არ გაფუჭდეს.

### ხორბალის შესყიდვა და გამოტანა.

ივლისის 29 მომარაგების სამინისტროსთან ერობისა და ტფილისის ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებთან ერთად შესდგა თათბირი ბორჩალოს, დუშეთის და თელავის მაზრებიდან ხორბლის გამოტანის წესის გადასინჯვის შესახებ. თათბირმა დაადგინა უფლება დართოს კერძო პირებს დუშეთის, თელავის და ბორჩალოს მაზრებში პურის ხორბლის შესყიდვისა, მხოლოდ იმ პირობით, თუ შესყიდულ ხორბალს ჩამოიტანებენ ტფილისში ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების მისამართით. ამიტომ დადგენილია დაუბრკოლებლივ გამოუშვან სასურსათო ბარგი, როგორც რკინის გზებით, ისე გზატკეცილებითაც. რეკვიზიცია ამ სასურსათო ბარგის, რომელსაც ტფილისში ჩამოიტანებენ, არ შეიძლება. ამ ბარგის სასურსათო განყოფილების მისამართით გავზავნას მიზნათ აქვს მოაწყოს სწორი აღწერა იმ პურისა, რომელიც ტფილისში შემოდის. ივლისის 30 თათბირის დადგენილებანი დაამტკიცა მომარაგების მინისტრმა.

# ბათომი

### ბათომის საბაჟო.

საბაჟო ნაწილის გამგე ვ. მ. მიქაძე თავის მოხსენებაში, რომელიც ფინანსთა მინისტრს წარუდგინა და რომელიც ბათომის საბაჟოს მიღებას ეხება იუწყება, რომ საბაჟოს გადაცემამდის მოხდა ინგლისისა და საქართველოს მმართველი პირების შეერთებული სხდომა. ამ სხდომაზე საბაჟოს გადაცემის წესრიგი გამოირკვა. სხდომის შემდეგ ინგლისელმა ოფიცერმა, რომელიც ხელმძღვანელობდა საბაჟო გადასახადების შეკრებას, დაუყონებლივ შეკრიბა მოსამსახურენი და მიქაძის თანდასწრებით გამოუცხადა, რომ საბაჟო საქართველოს გადაეცაო. ამ დროს ჩამოუშვეს ინგლისის დროშა და მის მაგივრად საქართველოს დროშა ასწიეს. გადმოცემის დროს საბაჟოს კასაში აღმოჩნდა: ნაღდ ფულად 788.460 მან. 69 კაპ. და ინგლისის ჩეკებით 636.800 მან. საბაჟოს გადმოცემის შემდეგ მთელი საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე მიმდინარეობს. ნატანების საბაჟო დაიხურა ამ საბაჟოს მოსამსახურეთა ნაწილი გადაყვანილია ბათომში, ნაწილი კი სხვა საბაჟოებში. შემდეგ დაათვალიერეს საქონელი. ამ ჟამად ბათომის საბაჟოს მოქმედება სრულიად მოწესრიგებულია. საბაჟოს შტატი შემდგარია. დასასრულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საბაჟოს მოქმედება თანდათან ფართოვდებაო.

### სასამართლოს დაწესებულებანი ბათომში.

ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი ი. კანდელაკი თანახმად იუსტიციის მინისტრის მინდობილებისა გაემგზავრა სასამართლოს დაწესებულებათა მოსაწყობათ.

**გურიაში.** ოლქში ყურძნის კარგ მოსავალს მოელიან. ხილის საუცხოო მოსავალია, ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს.

ქაღალდის ტრანსპორტი. თანახმად სარწმუნო ცნობებისა აგვისტოში მიელიან ქაღალდის დიდ ტრანსპორტს. ქაღალდი საქართველოს დიდ ფირმების მისამართით არის გამოგზავნილი. ამ ქაღალდის საწყობები მოწყობილი იქნება ბათომსა და ფოთში.

ადლერიდან იუწყებიან: ნაპირებთან ბოლშევიკების მოტორი „ლევი“ სდარაჯობს და იჭერს ყველა ნავს და მოტორს, რომელიც კი ახლო გაივლის. ასეთი ზომით სურსათ სოჭიდან ნოვოროსიისკში გადასაზიდავ საშუალებათა გაძლიერება.

# ერობა

### სამაზრო ერობის მეშვიდე სესია.

ივლ. 30 სხდომაზე მოისმინეს სამაზრო ერობის გ. კანდელაკის მოხსენება საადმინისტრაციო აპარატის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა: ტფილისის მაზრა გაყოფილია 8 სამილიციო რაიონათ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნიც სამაზრო მილიციის სამმართველოსთან ტელეფონით არის შეერთებულნი. რაიონის მილიციის სამმართველოსთან ტელეფონით შეერთებულია აგრეთვე სამილიციო პოსტებით. მოხსენებამ გამოიწვია დიდი მსჯელობა, რის შემდეგ რეზოლიუცია მიიღეს: ყრილობა აღიარებს საადმინისტრაციო განყოფილების ენერგიულ მოქმედებას და იძლევა წ ნადადებას: 1) რაც შეიძლება ჩქარ-ჩქარა მოახდინონ მილიციის საქმეთა რევიზია, 2) სამართალში იქნეს მიცემული დამნაშავენი და 3) დაუღალავად ებრძოლონ სპეკულიაციას. ამის შემდეგ მოისმინეს საფინანსო კომისიის მოხსენება მოსამსახურეთა ჯამაგირების შესახებ.

## მილიციაში

— გასტრონომიულ მაღაზიის პატრონმა აბრამ იხშიაროვმა, რომელიც სცხოვრობს პლეხანოვის პროსპექტზე № 100 სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა რომ მის მაღაზიას სისტემატიურად ჰქურდავენ და ამ რიგად წაღებულია ერთი მილიონ მანეთის საქონელი. გამოძიების შემდეგ სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა რომ გაქურდვა ამ დასახელებულ მაღაზიისა მოეწყო თვით ამ მაღაზიის მოსამსახურე სარქის ატოიანცს და მზარეულის ნერსეს ოგანეზოვს— უკანასკნელმა გულწრფელად აღიარა თავის დანაშაულობა. მზარეული ოგანეზოვი დაჭერილია, ხოლო სარქის ატონიანცი კი გამომძიებლის თავდებობით 20000 მან. დროებით განთავისუფლებულია.

— რეალურ სასწავლებლის დირექტორმა ფონ-ბრენერმა სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეთ მადლობა გამოუცხადა იმ ენერგიულ მიღებულ ზომების გამო რომელიც მილიციამ მიიღო დაკარგულ მოწმობა დოკუმენტის აღმოჩენაში.

— 7 ივლისს გაზეთებში გამოცხადებული-ყო სისხ. სამართლის მილიციის მიერ ბარზარე სტერლიგის დაჭერა, რომელსაც ბრალდებოდა ქ. გორში არჩილ როტიაშვილის ბინიდან 200,000 მან. ნივთების გატაცება ამ ჟამად გამოირკვა რომ სტერლიგი უდანაშაულო ყოფილა და სისხლის სამართლის მილიციამ იგი გაანთავისუფლა.

## განცხადებანი

დაიკარგა ტკბილეულობის ხელზე ვაჭრობის ნებართვა ალი ჯალალ-ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2046 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი იოსებ სიმონის ძე მაგრაქველიძის სახელზე, მიღებული ს. ფოროხეთის საზოგადოებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2055 3—2

1920 წ. მაისის 19-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა ჩანიშნა სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში გორის მაზრისა, ნასყიდობის მოწმობა შემზადებული ცხინვალის ნოტარ. გოცირიძისაგან 8 მაისს 1920 წელს, რომლითაც ანნა იოსების ასულმა ელიოზოვისამ შეიძინა საჯარო ვაჭრობიდან 1 ნოემბერს 1893 წელს მოხდენილი ცხინალის სასამართლოს მომრიგებელ უბანში 22 მანეთათ ნაკვეთი მიწა ზომით 5 დესეტინა მდებარე ქალაქ ცხივალში, რომელიც ეკუთნოდა ივანე ანდრიას ძე ელიოზოვს. 1116 3—3

დაიკარგა გაზეთებით ვაჭრობის ნებართვა № 930 ვასილი მაქსიმეს ძე შმილოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2040 3-3

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა, ტფ. წმ ნინოს სასწავლებლის შვიდი კლასის ატესტატი და ამავე სასწავლებლის მე-8 კლ. დამთავრების მოწმობა ელენე კონსტანტინეს ასული კარგარეთელის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2052 3—2

დაიკარგა პასპორტი რუბენ არშაკის ძე ნაზარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2054 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1260 ტრიფონ ოსიპის ძე პერშინის სახელზე, მიღებული მიხაილოვის სოოლქო სამმართველოდან (მელიტოპოლის მაზრა, თავრიდის გუბერნია) 1909 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2056 3—2

დაიკარგა პასპორტი ანა სიმონის ასული კაჩინას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2038 3—3

დაიკარგა ცხენების სამობილიზაციო კომისიის მიერ მიცემული მოწმობა № 8 აბრამ ისმაილ ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2037 3—3

დაიკარგა ცხენების სამობილიზაციო კომისიის მიერ მიცემული მოწმობა № 11 ასად მუსტაფა ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2036 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 5080 ალექსანდრე ნიკოლაიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2030 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული 2 კომისარიატიდან, მოწმობა, მიღებული სახელმწიფო თეატრის კანტორიდან, სასცენო მოღვაწეთა პროფესიონალური კავშირის წევრობის ბარათი, პასპორტი, მოწმობა და სურათი, მიღებული რუსების ნაციონალური საბჭოდან. ოვანეს სააკის ძე ზარიფიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2039 3—3

დაიკარგა უვადო საოჯახო პასპორტი № 3678 ალექსი იაკობის ძე ტომილინის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2020 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ტასო არჩვაძის სახელზე, რომელიც მდებარეობს ფალავანდოვის ქუჩაზე № 24. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2042 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი მარიამ ილიას ასული ივანოვას სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2014 3—3

დაიკარგა ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 1362 მირიან ივანეს ძე გურგენიძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2015 3—3

დაიკარგა პასპორტი № 273 ივანე არტემის ძე ლუკასოვის სახელზე, მიღებული თელავის თვითმართველობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2025 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 497 მე-10 კომისარიატის უმცროსი მილიციონერის ილია სამსონის ძე გეგეჭკორის სახელზე, მიღებული მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2028 3—2

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ტფ. მილიციის სემმართველოდან და ნამსახურობის ნუსხა, მიღებული ქართულ კონვაირო ესკადრონიდან 1919 წ.—ნიკოლოზ ზაქარიას ძე დივანიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2045 3—2

ქ. ტფილისის მე 15 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ადოლფ გაბრიელის ძე მაიერის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ 1241 მუხ. X ტ. 1 ნ. სამოქ- კანონ. დაწესებულ ვადაში თავიანთი უფლება ზემოხსენებულ მაიერის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. 1965 1—1

ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მცხოვრებთ სოფელ დაცორიას, ლეჩხუმის მაზრისა, გარდაცვალებული ივანე კაციას ძე და ეფრემა ივანეს ძე ახვლედიანის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება მათ ახვლედიანების გარდაცვალების შემდეგ დანაშთ ქონებაზე· სამოქ. კრებ. მე- X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2065 1—1

1920 წ. მაისის 31-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც სოფიო ზაქარიას ასულმა ციციანოვმა მიჰყიდა მიხას და სანდრო თომას ძეებს კოპაძებს, ივანე ზაქარიას ძეს გეგელაშვილს და ილიკო გიორგის ძეს ტვაურს 40 ათას მან. ორი ნაკვეთი მიწა ზომით 1-1650 ოთხ. საჟ. და 2—3 დეს. მდებარე სოფელ ზემო ხვედურეთში. 1232 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, ხელშეკრულება დუქნის შესახებ, სახელმწიფო მამულების სამმართველოდან მიღებული და ოცი ათასი მან. ხელწერილი, მოცემული მასიკოჭელიძისაგან დავით ივანეს ძე დოლაქიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2064 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი პავლე სერგოს ძე პირუმოვის სახელზე, მიღებული საფრანგეთის კონსულისაგან ქ. ფეოდოსიაში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2067 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ქუთაისის ქუჩაზე № 34 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ოლცვარდას. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2070 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 336 მილიციონერი სიმონ ანდრიას ძე მაღლაკელიძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2072 3—1

ტფილისის საეპარქიო სამიტროპოლიტო სასამართლოში თამარ იასონის ასულმა ზოლოტარევისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ბორის გაბრიელის ძე ზოლოტორევი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1915 წ. უკვალოდ დაიკარგა 1918 წ. ყველა, ვინც კი იცის ბორის ზოლოტორიევის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 2063 1—1

1920 წ. მაისის 27-ს, ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც შამონ შიმკონას ძე ტოპლიშვილმა მიჰყიდა მოსე სიმონის ძე კოკოშვილს, 100000 მანეთათ ნაწილი ნაკვეთი მიწის, ზომით 35 ოთხკუთხიანი საჟენი, მდებარე მე-4 უბანში, ქალაქ ტფილისში, ქალაქის № 324. 1222 1—1

1920 წ. მაისის 27-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც გრიგორ ზაქარიას ძე იარალოვმა მიჰყიდა ქაიხოსრო როსების ძე ამირაჯიბს და გიორგი იოსების ანდრონიკოვს 3000000 მანეთათ ნაწილი ნაკვეთი მიწის, ზომით 670 ოთხკუთხიანი საჟენი, მდებარე ქალაქ კოჯორში. 1192 1—1

1920 წ. მაისის 25-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სერგო ივანეს ძე არუტინოვმა მიჰყიდა 50000 მანეთათ ელენა ყაზარას ასულს აგასიანცს უძრავი მამული მე-10 უბანში მდებარე ქ. ტფილისში ქალაქის № 191 ა, ზომით 180, 3 ოთხკუთხიანი საჟენი. 1119 1—1

1920 წ. მაისის 22-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ლუარსაბ ილარიონის ძე კვალიევმა მიჰყიდა ტარიელ სიმონის ძე ელიაშვილს 100.0 მანეთათ ნაწილი ნაკვეთი მიწის, ზომით 360 ოთხკუთხიანი საჟენი, მდებარე სოფ. მოხისში, გორის მაზრა. 1121 1—1

1920 წ. მაისის 27-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც სტეფანე გრიგორის ძე მაზმანოვმა მიჰყიდა ნიკოლოზ სოლომონის ძეს ოსიფოვს, 900000 მანეთათ ნაწილი ნაკვეთი მიწის, ზომით 76,46 ოთხკუთხიანი საჟენი, მდებარე მე-3 უბანში ქალაქ ტფილისში, ქალაქის № 11. 1188 1—1

1920 წ. აპრილის 15-ს ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან იქმნა ჩანიშნული სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ნასყიდობის მოწმობა გორის მაზრის წინ. შესრულებული ცხინ. ნოტ. გოცერიძესაგან 8 თებერვალს 1920 წელსა. შეძენილი მოქალაქის მეერ გავრიელოვის ძე კრიხელი 25 მანეთათ საჯარო ვაჭრობიდან, რომელიც მოხდა ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლის უბანში 15 სექტემბრიდან 1909 წელსა მიწის ნაკვეთი, ზომით სიგრძეზე $31^1/_2$ და სიგანეზე 13 არშინი რომელიც მდებარეობს ქალაქ ცხინვალში რომელიც ეკუთვნოდა რაფაელ გავრილოვის ძეს მამისთვალაშვილს. 1105 1—1

დაიკარგა მოწმობა № 921, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან მოწყობილ ოთახებზე, პასპორტი № 2525, მიღებული ალექსანდროპოლის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1917 წ. და სხვა საჭირო საბუთები, მარტიროსი აკოფას ძე შავციევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2046 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 800 ნიკოლოზ თედორეს ძე კახელაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2060 3—2

2920 წ. მაისის 28-ს ტფილისის ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მარია გიორგის ასულმა გველესიანმა იოსებ და მიხაილ გეორგის-ძე და კონსტანტინ ევსტატის-ძე გველესიანებმა მიჰყიდეს 10000 მანეთათ მოქალაქე ნიკოლოზ დავითის ძე და გრიგორ დავიდის-ძე გველესიანებს უფლება 2 წილი ნაწილი ნაკვეთი მიწის, ზომით 4 დესეტინა 50 ოთკხუთხიანი საჟენი ქვეშ №№ 242, 247 და 266, ზომით 1) 250 ოთხკუთხიანი საჟენი 2) 2090 ოთხუთხიანი საჟენი და 3) ერთი დესეტინა 50 ოთხკუთხიახი საჟენი მდებარე სოფ. შალაური თელავის მაზრა. 1246 1—1

1920 წ. მაისის 28-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც მამედ ეფენდი ზადემ მიჰყიდა ვასილ წყალობის-ძე პაპუაშვილს 110900 მანეთათ ნაწილი ნაკვეთი მიწის ზომით 600 ოთხკუთხიანი საჟენი, მდებარე ქალაქ ხაშურში გორის მაზრაში. 1210 1—1

1920 წ. მაისის 27-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე ანნა იოსების ასულმა ზალესკისამ მიჰყიდა 20000 მანეთათ მოქალაქე გასან გუსეინ ისმაილ ოღლს ნაწილი ნაკვეთი მიწის, შენობებით, ზომით 16 ოთხკუთხი საჟენი, მდებარე მე-2 უბანში ქალაქ ტფილისში რაკეტის შესახვევში ქალაქის № 251 1214 1—1

1920 წ. მაისის 27-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც მოქალაქე ანნა იოსების ასულმა ზალესსკისამ მიჰყიდა 15000 მანეთად მოქალაქე გასან გუსეინ ისმაილ-ოღლის ნაწილი ნაკვეთი მიწის, შენობებით, ზომით 27 ოთხკუთხიანი საჟენი (უფლება 28 წილი) მდებარე მე-2 უბანში ქალაქ თბილისში რაკეტის შესახვევში ქალაქის № 251. 1215 1—1

1920 წ. მაისის 31-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გეურქა და ივანე ოგანეზასძეთ სარქისოვებმა (იჰყიდეს ივანე ალექსანდრეს ძე გალუსტოვს ოც და ოთხიათას მანეთათ უძრავი მამული მდებარე ქალაქ სიღნაღში ნაკვეთი მიწის, ზომით სიგძით ჩრდილოეთით ოცდა თექვსმეტი არშინი და სამხრეთის მხრივ ორმოცი არშინი, სიგანით ათი არშინი და სამი ჩარექი არშინისა. 1250 1—1

1920 წ. მაისის 31-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მინა მიხეილის ასულმა მირზოევისამ მიჰყიდა ეკატერინა ისაიის ასულს ბაიდოიანცს 2050 მანეთათ უძრავი მამული მდებარე მე-7 უბანში ქალაქ ტფილისში ქალაქის № 693, ზომით 41 ოთხკუთხიანი საჟენი. 1231 1—1

1920 წ. მაისის 31-ს ტფილისის უფროს ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც იოსებ ბალდასარას ძე ბალდოევმა მიჰყიდა გიორგი და მოსე სარქისას ძე თარხანოვებს სამასი ათას მანეთად ერთი ნაკვეთი მიწის შენობებით ზომით სიგრძით ოცი არშინი, სიგანით თერთმეტ ნახევარი არშინი მდებარე ქალაქ თელავში, ქალაქის № 765. 1229 1—1

1920 წ. მაისის 25-ს ტფილისის უფროსი ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც თომა ფილიპეს ძე ინაშვილმა მიჰყიდა თომა იოსების ძე და ელიზავეტა ივ ნეს ასულს ხუციშვილებს ორასი ათას მანეთად ერთი ნაკვეთი მიწა ზომით ასორმოცდა ათი მთელი და სამი მეათედი ოთხკუთხი საჟენი მდებარე მეათე უბანში ქ. ტფილისში სტრელკოვის ქუჩაზედ, ქალაქის № 376. 1165 1—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.